დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შ.პ.ს. ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ კაკუტია

წევრები: სალომე სიორდია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შ.პ.ს. ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 400176518

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

☒ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ამა წლის 19 მარტს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N 189 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ვიზიტი შ.პ.ს. „ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტში", მისამართზე ქ. თბილისი ხოშარაულის 30 ა). დაწესებულების იურიდიული მისამართია, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის გამზირი #64. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ ამა წლის 2 მარტს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა კორესპონდენცია #02/002, რის საფუძვლზეც ცენტრისათვის ცნობილი გახდა, რომ დაწესებულებამ შეიცვალა ფაქტობრივი მისამართი. დაწესებულებაში ვიზიტზე გამოვცხადდით 19 მარტს დილის 11 სთ-ზე, სადაც დაგვხვდნენ პირები, რომელთაც თავი გაგვაცნეს, როგორც დაწესებულების უფლობამოსილმა პირებმა. კერძოდ, ქალბატონი სომაიეჰ ნოკარიზი რომელმაც წარმოადგინა მინდობილობა და პასპორტი სანოტარო ნომრით [redacted] რეგისტრაციის თარიღი 01.02.2018 და აღნიშნული დოკუმენტით დაწესებულების დირექტორის ჰოსეინ ჩენარის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი. აღნიშნულმა პირმა განმარტა, რომ დაწესებულებაში სწავლა არ მიმდინარეობს, აღნიშნულ მისამართზე ისინი არიან ჯერ კიდევ გადმოსვლის პროცესში და ამ ეტაპზე ისინი არიან დოკუმენტაციისა და ინვენტარის დალაგება- მოწესრიგების პროცესში. ავტორიზაციის ექსპერტებმა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა გავაცანით უფლებამოსილ პირებს და დაწესებულების თანამშრომლებს ზემო აღნიშული ბრძანება და დღის წესრიგი, რომელმაც თავის მხრივ ხელმოწერით დაადასტურა ბრძანების დღის წესრიგის გაცნობა (დაწესებულებას ბეჭედი ვიზიტის პირველ დღეს არ ჰქონდა). დღის წესრიგთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან ისინი იმყოფებოდნენ გადმოსვლის პროცესში, მას მოცემული მომენტისათვის არ შეეძლო დოკუმენტაციისა და ნაწილი ინვენტარის წარმოდგენა. შესაბამისად, შევთანმხდით, რომ ვიზიტის პირველ დღეს მოვახდენდით მხოლოდ შენობის დათვარიელებას, და მივცემდით საშუალებას დოკუმენტაცია მოეწესრიგებინათ და წარმოედგინათ ვიზიტის მეორე დღეს. დაწესებულების დირექტორის მიერ დანიშნულმა უფლებამოსილმა პირმა წარმოადგინა რეესტრის ამონაწერი იჯარით გაცემის შესახებ სამ სხვადასხვა ფართთან დაკავშირებით (19/02/2018, [redacted], [redacted]) და იჯარის ხელშეკრულება, რომელიც დათარიღებულია 2018 წლის 01 თებერვლით, ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი. ხელშეკრულებისა და დანართის საფუძველზე დაწესებულებას გადაეცა ფართი (ხელშეკრულებაში გახლავთ ჩამონათვალი) და ინვენტარი, რომელიც დანართში და მიღება-ჩაბარების აქტში (20018 წლის 1 თებერვლის) არის წარმოდგენილი. შენობის დათვალიერების შემდეგ დაწესებულებასთან შეთანხმებით გადაწყდა ვიზიტის მეორე დღესათვის გაგრძელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

ვიზიტი გაგრძელდა ამა წლის 20 მარტს, რა დროსაც დაწესებულებამ, როგორც განმარტა, წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, როგორც დედნების ასევე უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასლების სახით. შესაბამისად, ჯგუფმა დაიწყო მონიტორინგის განხორციელება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ შეიცვალა სახელწოდება, და ელექტრონული მისამართი პარტნიორთა გადაწყვეტილებით, კრების ოქმით, რომელიც დათარიღებულია18.01.2018, ქ. თბილისი, და დაწესებულების სახელწოდებად განისაზღვრა- „ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი", ელ.ფოსტა - ave.office@gmail.com. დაწესებულების ახალი სახელწოდება აქვე დადასტურებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერით, რომელიც წარმოდგენილ იქნა დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ და რომელიც დათარიღებულია 02/02/2018 და განცხადების რეგისტრაციის ნომერი გახლავთ: [redacted]

აღნიშნულით დაწესებულებამ დაარღვია ავტორიზაციის დებულების 30[2] მუხლის1 პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც

„საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო ფართის ან მისამართის ცვლილების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ცენტრსწერილობით აცნობოს შეცვლილ ფართში / მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე 30 კალენდარული დღით ადრე , გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა , რა დროსაც დაწესებულება ვალდებულია შეცვლილ ფართში / მისამართზესაქმიანობის განხორციელების დაწყების შესახებ ცენტრს აცნობოს დაუყოვნებლივ და წარუდგინოს ფართის მართლზომიერ მფლობელობაშიარსებობის და მადასტურებელი დოკუმენტაცია" .

რაც შეეხება დაწესებულების სახელწოდებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ახალი სახელწოდება გახლავთ „ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი". კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებას აქვს მხოლოდ პროფესიული პროგრამების განხოციელების უფლება, უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების აღმნიშვნელი სახელის შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე გამოყენება არ შეუძლია. რაც წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1921 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს: **<u>მუხლი 192[1].</u>**

<u>უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა</u>

„1. ავტორიზაციას დაქვემდებარებული საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე განხორციელება ან/და ამგვარი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება ან/და ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმნიშვნელი სახელის შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე გამოყენება, „–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების უფლებამოსილ პირთან გასაუბრების შემდეგ, მივიღეთ განმარტება, რომ ისინი 75% წილის შეძენის დროს შეცდომაში იყვნენ შეყვანილი და როგორც კი გაიგეს ამ ფაქტის შესახებ მათ მიერ რეესტრში წარდგენილ იქნა განცხადება სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოება არ იყო დასრულებული და დაწესებულების რეესტრის ჩანაწერში იგივე სახელწოდება ფიქსირდებოდა - „ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი". უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას დღიდან ავტორიზაციის მიღებიდან პროფესიული სტუდენტების მიღება არ განუხორციელებია და შესაბამისად, ვიზიტის დროს სასავლო პროცესიც არ მიმდინარეობდა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის 2 აპრილის ამონაწერით დასტურდება დაწესებულების მიერ სახელწოდების შეცვლის ფაქტი და მას ეწოდება "შპს ავიცენას სამედიცინო და გამოყენებითი მეცნიერების კოლეჯი", თუმცა აღნიშნული ცვლილების შესახებ დაწესებულებას საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით დადგენილ ვადებში არ ადრე და არც აღნიშნულ შემთხვევაში არ განუხორციელებია შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, რითაც დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის N127/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადები.
თქვენს ყურადღებას გავამახვილებ იმ ფაქტზე, რომ დაწესებულება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის რეესტრს არ აწარმოებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები**	**მუხლი 6**		X
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**		X
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**		X
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	X	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	X	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი, წელი}

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	მუხლი 6 / პუნქტი ე)		X
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	X	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7		X
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	X	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	X	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)		X
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	X	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)	X	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	X	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)		X
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	X	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	X	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	X	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	X	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	X	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	X	
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)		X
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)		X
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**		X
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**		X
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	X	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**		X

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულება არის ერთი მისამართიდან მეორე მისამართზე გადმოსვლის პროცესში და მას ავტორიზაციის მიღების მომენტიდან სწავლის პროცესი არ განუხორციელებიათ. შესაბამისად გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით არ გააჩნიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

1.1.1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი, (შემდგომში მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები არ შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებს, ვერ იქნა წარმოდგენილი პრაქტიკის მემორანდუმები/ხელშკრულებები, არ დასტურდება სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალური აღჭურვილობის არსებობა, დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრების ორგანიზება. პროგრამების გაცნობისას გამოიკვეთა პლაგიატი, კერძოდ, ერთ-ერთ პროგრამაში მითითებული იყო, რომ „კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პრეროგატივას".

2.-1.2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კატალოგი 2 წლის წინ არის მომზადებული, იგი არ ასახავს დაწესებულების დღევანდელ სახელწოდებას და არ მოიცავს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციას კრედიტებისა და სტუდენტთა შეფასების შესახებ;

3.-1.5. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისათვის საჭირო

მექანიზმები.

4- 2.1.1 პროგრამების განხორციელებისათვის მოდულში ასახული ინვენტარის ნაწილის არსებობა (მულაჟი, ყავარჯენი, ეტლი ...) ვერ დასტურდება ვერც დოკუმენტურად და ვერც ვიზუალურად.

5. აწესებულებამ ვერ წარმოადგინა ბრძანებებისა და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები, ხოლო შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალები არ იყო აკინძული და დალუქული.

6.- 2.8 ვებგვერდი www.avicenna.edu.ge განთავსებულია საკომუნიკაციო ინფორმაცია . მისამართი ტელეფონის ნომერი. ხოლო განყოფილებებში: „მთავარი" ," ჩვენს შესახებ" " პროგრამები "," სტუდენტები" „პარტნიორები" „უწყვეტი განათლება" „ბიბლიოთეკა" „გალერეა" „სიახლეები" - ინფორმაცია არ მოიძებნა.

7.- 2.9. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ერთწლიანი (2018 წლის) სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

8.-3.1 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლითაც სარგებლობს თანამშრომელთა შერჩევისას;

9.-3.3. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პერსონალის შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მათ მიერ წარმოდგენილ შრომითი ხელშეკრულებები არ არის შესაბამისი საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან. კონკრეტულად, აკლია ისეთი არსებითი პირობები, როგორიც არის სამუშაო ადგილი და შვებულების დრო.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს განათლების კანონმდებლობის მოთხოვნათა გაცნობა და მისი აღსრულებისათვის შესაბამისი მექანიზმების დანერგვა, ასევე სათანადო რესურსებით (ადამიანური, მატერიალური, პროგრამული) უზრუნველყოფა.

VII. დაწესებულების მისია

დაწესებულებამ წარმოადგინა მისია, რომელიც დამტკიცებულია 2016 წლის 01.06.2016 ბრძანებით შ.პ.ს მილენიუმ აკადემიის დირექტორის ნანა ლომაიას მიერ, შესაბამისად ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია. ბეჭედზე არის წარწერა შ.პ.ს. საზოგადოებრივი კოლეჯი მილენიუმ აკადემია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწესებულემაბ შეიცვალა სახელწოდება და მთელ რიგ დოკუმენტებში არ არის ცვლილებები განხორციელებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, (შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებამ წარმოადგინა შპს მელენიუმ აკადენიის დირექტორის უფლებამოსილი პირის მიერ 2016 წელს პროგრამების დამტკიცების ბრძანება და პროგრამები მილენიუმ აკადემიის ბეჭდით. წარმოდგენილი იყო 2016 წ ავტორიზებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამები:

1) პრაქტიკოსი ექთანი
2) ექთნის თანაშემწე
3) ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი
4)ბუღალტერ- ტექნიკოსი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

აღსაღნიშნავია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N656 13.10.2017 წლის საფუძველზე დამტკიცებული იქნა პროგრამების ახალი ჩარჩო დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

1) პრაქტიკოსი ექთანი-134 კრედიტი
2) ექთნის თანაშემწე-81 კრედიტი
3) ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი-111 კრედიტი
4)ბუღალტერ- ტექნიკოსი.62 კრედიტი
მაშასადამე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებას არ წარმოუდგენია ახალი ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცებული პროგრამები.
არც ერთი პროგრამა და მოდული არ შეიცავს ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტების დასახელების თაობაზე და ვერ იქნა წარმოდგენილი საპრაქტიკო ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულება/ მემორანდუმი. ასევე ვერ მოხერხდა პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება თუ რა მექანიზმებით ახორციელებენ სწავლის შედეგების მიღწევას.
შესწავლილი იქნა 2016 წელს ავტორიზებული პროგრამები, თითეული პროგრამა და შერჩევითი წესით განხილული იქნა მოდულები.
შერჩევითი წესით მოდულების განხილვის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1) პრაქტიკოსი ექთნის თანაშემწის მე-5 საფეხურის მოდულური პროგრამა და მოდულები დამტკიცებულია 2016 წლის 8 ივნისს, მილენიუმ აკადემიის დირექტორის N 01/09 ბრძანებით და მოიცავს 179 კრედიტს.

კვალიფიკაციის მინიჭების გრაფაში აღნიშნული იყო რომ „კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პრეროგატივას".

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის დიდი ნაწილი განთავსებული იყო დაწესებულების საერთო გარემოში, საკაცე, თოჯინა, ამბუს პარკი, ამბუს ნიღაბი, ქვიშის საათი, ბალიშებისა და პირველადი მოვლის საშუალებების კომპლექტი. თერმომეტრი, წნევის აპარატი, ფონეიდოსკოპი, სასწორი -სიმაღლის საზომით, სამედიცინო ფორმა, ჩონჩხი და ა.შ.

1. მოდული **თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა**

შედეგი 2- გულისხმობს საექთნო მოვლა/მართვის დაგეგმვა ორგანოთა სისტემების მიხედვით და შედეგი 3- საექთნო პროცედურები და მანიპულაციები, ითვალისწინებს დაწესებულებაში აღნიშნული შედეგების მიღწევისთვის შესაბამის აღჭურვილობას:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი, წელი}

მულაჟს-სასწავლო მანეკენს რომელის არსებობაც დაწესებულებაში ვერ დადასტურდა ვერც ვიზუალურად და ვერც დოკუმენტურად. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის შედეგი ვერ იქნება მიღწეული.

2. მოდულში- გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა. ამ მოდულის ერთ ერთ შედეგს **(შედეგი 3.)** წარმოადგენს - **„გერიატრიული პაციენტის საექთნო მოვლის დაგეგმვა- სადაც აღნიშნულია „-** „ სწორად აღწერს გერიატრიული პაციენტის მოვლის ეტაპებს/მიზნებს და აუცილებელ რესურსს".

აღნიშნული მოდულის ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალში იყო ეტლი, ყავარჯენი. მათი არსებობა და ფლობა ვერ დადასტურდა ვერც ვიზუალური დათვალიერებითა და ვერც დოკუმენტაციით.

2) ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის მოდულური პროგრამა და მოდულები დამტკიცებულია 2016 წ მილენიუმ აკადემიის დირექტორის 2016 წლის 8 ივნისის, N 01/08 ბრძანებით და მოიცავს 103 კრედიტს.

1. მოდულში შინმოვლა- პროგრამის განხორციელების მიდგომებში აღნიშნული იყო რომ - მოდული ხორციელდება მილენიუმ აკადემიაში, კლინიკაში. კლინიკის დასახელება და მემორანდუმები ვერ იქნა წარმოდგენილი, რის საფუძველზეც ვერ ვახდენს მოდულის განხორციელების ადგილის იდენტიფიცირებას.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამის ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალში არის მულაჟი - სასწავლო მანეკენი, რომლის არსებობა და ფლობა ვერ დადასტურდა ვერც ვიზუალური დათვალიერებით და ვერც დაწესებულების ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ვიზიტის მომენტისათვის სრული ინვენტარის და დოკუმენტაციის მიღების პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა და ისინი ადასტურებენ, რომ ნამდვილად ფლობენ პროგრამით გათვალისწინებულ ინვენტარს და შესაბამის დოკუმენტაციას.

ა) შედეგი 7 შინმოვლის პაციენტის დამოუკიდებლობის შენარჩუნება და მოვლის გაადვილება;

- დამხმარე და ტექნიკური საშუალებების გამოყენება:

  ინვენტარში მითითებულია როგორც მულაჟი ასევე მოვლის დამხმარე ტექნიკური საშუალებები (ეტლი, ფიქსატორი, ყავარჯნები, ხელჯოხი), რომელთა არსებობაც დაწესებულებაში ვერ დადასტურდა ვერც ვიზუალურად და ვერც დოკუმენტურად.

- ასევე არ არის მითითებული საპრაქტიკო ბაზა სადაც შეიძლებოდა ამ შედეგის მიღწევა. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის შედეგი ვერ მიიღწევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

2. მოდული- ჰიგიენა და ინფექციის კონტროლი ავადმყოფის მოვლის საქმეში - ძირითადი ინვენტარი მინიშნებულია, რომ არის პრაქტიკის ობიექტზე. ხოლო პრაქტიკის ობიექტი არ არის მითითებული.

ფართის ცვლილებიდან გამომდინარე ცალკე C გარემო არ იყო გამოყოფილი აღნიშნული პროგრამისათვის ხოლო საჭირო ინვენტარი აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის მოთავსებული იყო საერთო გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ზემოთ აღნიშნული დირექტორის ბრძანებებით და უშუალოდ პროგრამების გაცნობით, ჩარჩო დოკუმენტებით ვიზუალური დათვალიერებით და ინტერვიუთი.

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

X ქვესტანდარტი დარღვეულია

\დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ზემოთ აღნიშნული დირექტორის ბრძანებებით და უშუალოდ პროგრამების გაცნობით, ჩარჩო დოკუმენტებით, ვიზუალური დათვარიალებეით და ინტერვიუებით, მათ შორის დარგის ექსპერტის მიერ.

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

X ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ წარმოადგინა კატალოგი, რომელიც თარიღდება 2016 წლით და არ არის განთავსეული ვებ გვერდზე და მისი სახელწოდება არ არის განახლებული (მითითებულია კვლავს ძველი სახელწოდება შ.პ.ს. „მილენიუმ აკადემია“) კატალოგში მოცემულია ინფორმაცია შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

საგანმანათლებლო პროგრმის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესახებ , თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, რომელზეც გაკეთებულია წარწერა შ.პ.ს. საზოგადოებრივი კოლეჯი მილენიუმ აკადემია, პროფესიული პროგრამების კატალოგი

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
X ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

2016 წელს დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით.

შეფასება:

X ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცეული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის და შეწყვეტის, ასევე მობილობის და მიღებული განათლების აღიარების, არაფორმალური განათლების აღიარების წესს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და სპეციალური საჭიროების მქონე პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესს, ასევე სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალების და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების, შემდგომში კი წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესს (ბრძანება #01/05 ქ. თბილისი, 05.06.2016 სახელწოდებით, შ.პ.ს. საზოგადოებრივი კოლეჯი მილენიუმ აკაცემია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებული# 01/05 05.06 2016

შეფასება:

Xქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია# 01/05 05.06 2016 ბრძანებით (დანართი1), მე-13 მუხლის, მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის 13.3. თანახმად, მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანამანათლებლო დაწესებულებებთან. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისი მემორანდუმები წარმოდგენილი ვერ იქნა. დაწესებულების წარმომადენელი უფლებამოსილი პირის მიერ მივიღეთ განმარტება, რომ იმყოფებიან დოკუმენტაციისა და აღჭურვილობის გადმოცემის პროცესში, აქვე დააზუსტეს, რომ აღნიშნულ პროცესი შ.პ.ს-ს 25% მფლობელი პირის, ყოფილი დირექტორის ქალბატონი [redacted] მიერ ფერხდება, მისი ქალაქში არყოფნის გამო, რომ მათ აღნიშნული მემორანდუმები აქვთ, თუმცა ზემო აღნიშნული მიზეზის გამო ვერ ახერხებენ ექპერტებისათვის წარმოდგენას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დანართი1) შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია# 01/05 05.06 2016 ბრძანებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

X ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი, წელი}

პროგრამის შეფასების სისტემა - დაწესებულებას აქვს საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც დამტკიცებულია # 01/05 05.06 2016 ბრძანებით, დანართი #5. სადაც აღწერილია ხარისხის შეფასების ფორმები, პროფესიული მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტებისთვის გამოკითხვის ფორმები, კურსდამთავრებულთათვის გამოკითხივ ფორმები, მათი დასაქმების აღრიცხვა სტატისტიკის ანალიზი, ჩამოთვლილია ასევე კითხვარის შემუშავებაში ჩართული პირები და დაწესებულების სვოტ ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დაწესებულებას აქვს საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც დამტკიცებულია# 01/05 05.06 2016 ბრძანებით, დანართი #5.

შეფასება:

Xქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ წარმოადგინა საიჯარო ხელშეკრულება 01.02.2018 წელს გაფორმებული შ.პ.ს „დიდუბე 2008"-სა და შპს „ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტს" შორის სამი წლის ვადით და დამატებით სამი წლის ვადით იგივერე პირობებით გაგრძელების უფლებით 1.შენობა-ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართი საკადასტრო კოდი #[redacted] #6, 435კვ.მ. სარეთული 2; 2. შენობა ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართი საკადასტრო კოდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ქალაქი, წელი}

[redacted] #7, 427კვ.მ. სარეთული 2; 3. შენობა ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართი საკადასტრო კოდი #[redacted], 7.20კვ.მ. სართული 2;
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ხოშარაულის 30ა	435
2	ქ. თბილისი, ხოშარაულის 30ა	427
3	ქ. თბილისი, ხოშარაულის 30ა	7.20
ჯამი		869.9

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

საიჯარო ხელშეკრულება 01.02.2018 წელს გაფორმებული შ.პ.ს „დიდუბე 2008"-სა და შპს „ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტს" შორის და ვიზუალური დათვარიელება.

შეფასება:

X ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

01.02.2018 ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის შესახებ და 01.02.2018 წლის მიღება-ჩაბარების აქტი შ.პ.ს. ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტსა და შპს „დიდუბე 2008 შორის" მატერიალური რესურსების ჩამონათვალით , რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, რის საფუძველზეც დაწესებულებას გადაეცა მოძრავი ქონება: სხვადასვა სახის მაგიდები, სკამები, სამედიცინო ტახტი, წიგნის თაროები, კომპიუტერები, პროცესორები პროექტორები თითეული აუდიტორიისათვის და სხვ., რაც სავსებით საკმარისია დაწესებულებისათვის განსაზღვრული კვოტის სტუდენტების სწავლებისათვის (86 ორადგილიანი მაგიდა, 40 ერთადგილინი, უჯრებიანი, დირექტორის, სათათბირო, ჟურნალის, ოვალური დიდი, დაბალი ოთხკუთხედი, ნახევარწრე და სხვ. მაგიდები, ასევე კომპიუტერის მაგიდები 30, სკამები 127 ერთეული, სტუდენტებისათვის განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

სკამი/ მერხი 28 ერთეული, სხვადასხვა ზომის დაფები12 ერთეული, კარადები 23, სავარძლები ერთ, ორ და სამ ადგილიანი და სხვა. ზემოაღნიშნული ინვენტარი გადანაწილებულია აუდიტორიების, სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკის, ექიმის კაბინეტის და ადმინისტრაციის ოთახების მიხედვით. ასევე არის აღნიშნული დანართში. ასევე 3 პროექტორი, ქსეროქს-კომბაინი ორი ერთეული, ნოუთბუქი ორი ერთეული, 16 მონიტორი, 16 პროცესორი, ვაიფაის ბლოკი, კამერის ბლოკი ტელევიზორი, რკინის პანდუსი, ლიფტი და სხვ. შესაბამისად ზემოაღნიშნული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის სწავლებას პროგრამების მიხედვით.
პროგრამების განხორციელებისათვის მოდულში ასახული ინვენტარის ნაწილის არსებობა (მულაჟი, ყავარჯენი, ეტლი ...) ვერ დასტურდება ვერც დოკუმენტურად და ვერც ვიზუალურად.

დასტურდება:

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

01.02.2018 ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის შესახებ და 01.02.2018 წლის მიღება-ჩაბარების აქტი შ.პ.ს. ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტსა და შპს „დიდუბე 2008 შორის“ და ვიზუალური დათვარიალები .

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
X ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

დაწესებულებას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტად, ასევა არის ბუნებრივი განათება, გათბობის ცენტრალური სისტემა, სველი წერტილები და ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტირებული გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვიზუალური დათვარიელებით და კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრებით.

შეფასება:

X ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შერჩევით შემოწმდა ბიბლიოთეკის ფონდი და დადგინდა, რომ წარმოდგენილი წიგნადი ფონდი შეესაბამება ოთხივე პროგრამაში მითითებული სასწავლი კურსების, მოდულებში არსებულ პროგრამებში მითითებული ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში ასევე არის 5 კომპიუტერი, კომბაინი, პროექტორი. ფართე, კარგად განათებული სამკითხველო დარბაზი. სახელმძღვანელოები დამუშავებულია შესაბამისი წესით და არსებობს ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალი, ჯამობრივი ჟურნალი და ბიბლიოთეკარის დღიური შესამაბისი წესით დამუშავებული. ადგილზე იქნა შემოწმებული ელექტრონული სახელმძღვანელო. ანბანური კატალოგი, ელექტრონული კატალოგი და სისტემური კატალოგი. ჩანაწერების წიგნი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. წიგნადი ფონდი ბეჭედდასმულია დაწესებულების ძველი სახელწოდებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დასტურდება ვიზუალური დათვარიელებით, ინტერვიუებით და წიგნების მფლობელობის დამადატურებელი დოკუმენტებით, ელექტრონული დისკებით. მიღება-ჩაბარების აქტები 2016 წლის 05 ივნისის# 01/05 ბრძანებით, დანართი#3 .

შეფასება:

X ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის ინტერნეტი, კომპანია „სილექნეთთან" გაფორმებული „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახეებების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულება" 2018 წლის 16 თებერვალი, ხელშეკრულება, დომენური სახელების სარგებლობის უფლების გადაცემაზე,

20.03.2018 და ჰოსტინგის ხელშეკრულება, 16.02.2018, HB [redacted] დაწესებულებაში ასევე არის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების საფუძველზე გადაცემული კომპიუტერული პარკი: 3 პროექტორი, ქსეროქს-კომბაინი ორი ერთეული, ნოუთბუქი ორი ერთეული, 16 მონიტორი, 16 პროცესორი, ვაიფაის ბლოკი, კამერის ბლოკი ტელევიზორი და სხვ. ზემოაღნიშნული კომპიუტერები გადანაწილებულია აუდიტორიების, სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკისა და ადმინისტრაციის ოთახების მიხედვით. ასევე არის აღნიშნული დანართში.
(01.02.2018 ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის შესახებ და 01.02.2018 წლის მიღება-ჩაბარების აქტი შ.პ.ს. ავიცენას უმაღლესი განათლების საერთაშორისო ინსტიტუტსა და შპს „დიდუბე 2008 შორის".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

ვიზუალური დათვარიელების ინტერნეტისა და ვებგვერდის დომეინისა და ჰოსტინგის შესყიდვის ხელშეკრულებები და კომპიუტერებისა, პროექტორი, ქსეროქსი, პრინტერი, სკანერი (კომბაინი).

შეფასება:

X ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას აქვს სარეგისტრაციო წიგნები, სადაც მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდენციების, თუმცა ვერ წარმოადგინა ბრძანებათა და ხელშეკრულებებისა რეგისტრაციის ჟურნალები.

აღნიშნული სარეგისტრაციო წიგნები სასურველია იყოს აკინძული და დალუქული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დასტურდება ვიზუალური დათვარიელებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
X ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, აღნიშნული ინვენტარი არ იყო კედელზე განთავსებული. დაწესებულების წარმომადგნლებმა განმარტეს, რომ ისინი იმყოფებიან გადმოსვლის პროცესში. ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები გახლად ახალი, შესაბამისად, დამუხტული და ვადიანი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმა, სამედიცინოდახმარების კაბინეტი. დაწესებულებაში არ იყო მედიკამენტები, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა გაგვიმარტეს, რომ ვინაიდან ამ ეტაპზე სტუდენტები არ ჰყავთ, მათ თავი შეიკავეს მედიკამენტების შეძენისაგან (ისინი მედიკამენტებს შეიძენენ სწავლის დაწყებისათვის, რადგან თავიდან აიცილონ ძველი და ვადაგასული მეტიკამენტების გამო პრობლემები) ბრძანება #0105 06.06.2016, დანართი #4 -ით და #2-ით დამტკიცეული წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებით სადაც გაწერილია დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, მათ შორის შშმ და სსსმ პირებისათვის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ბრძანება #0105 06.06.2016, დანართი #4,#2 -ით და ვიზუალური დათვარიელებით .

შეფასება:

Xქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო. კერძოდ, სველი წერტილი, შემოსასვლელი, და ლიფტი. თავისუფალი წვდომა ბიბლიოთეკასთან, ადმინისტრაციასთან და სასწავლო გარემოსთან. აუდიტორიების შესასვლელი ფართი აკმაყოფილებს ეტლით მოსარგებლის შემოსვლას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვიზუალური დათვარიელებით.

შეფასება:

X ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი www.avicenna.edu.ge - ზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია . მისამართი ტელეფონის ნომერი. ვებგვერდი ვერ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე არ არის განთავსებული სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის განთავსებული დაწესებულების სტრუქტურა,არ არის განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამები,პერსონალის ველში ნაჩვენები პიროვნებები არ ემთხვევა პირად საქმეებში ასახულ პიროვნებებს. ვერ დასტურდება თუ როდის მოხდა ბოლოს ინფორმაციის განახლება.

დასტურდება:

(მტკიცებულება/ინდიკატორები): ვებ გვერდით www.avicenna.edu.ge

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

X ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ წარმოადგინა განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა 2016-2022 და ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2016 წლის 08 ივნისის# 01/06 ბრძანებით, დანართი 1 და დანართი 2. თუმცა ერთწლიანი გეგმა გახლდათ 2016 წლის და შესაბამისად მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმავ ვერ იქნა მიჩნეული. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების მიერ განხილულ იქნა 20016-22 წლის სამოქმედო გეგმა, მასში მიმდინარე წლის განსაზღვრული სამუშაოების იდენტიფიცირების მიზნით და სამწუხაროთ იქ 2018 წელი ვერ იქნა იდენტიფიცირებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დამტკიცებულია 2016 წლის 08 ივნისის# 01/06 ბრძანებით, დანართი 1 და დანართი2 .

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

Xქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით არის შესრულებული. მალითად, ქალბატონთან, რომელიც გაგვეცნო ბიბლიოთეკარად არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკარს წარმოდგენილი აქვს პლასტიკური ბარათი, რის საფუძველზეც დასტურდება, რომ იგი ამავდროულად არის საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი. გასაუბრებით დადგინდა, რომ მას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

საქართველოს პარლამენტის აღნიშნულ ბიბლიოთეკაში მუშაობს 36 წელიანი სტაჟი და აქვს უმაღლესი განათლება, რის საფუძველზეც მიენიჭა ბიბლიოთეკადმცონის, ბიბლიოგრაფის კვალიფიკაცია.

რაც შეეხება პირად საქმეებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც უნდა იყოს დადგენილი და ამავდროულად დაწესებულება უნდა ხელმძღვანელობდეს თანამშრომლის დაქირავებისას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ექსპერტების მიერ ვერ მოხერხდა დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაციის შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ხელშეკრულებებით, დაწესებულების უფლებამოსილ პირთან ინტერვიურებით.
შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

X ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები არის გაფორმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონდე პედაგოგებთან. დაწესებულებას დღევანდელი მდგომარეობით არც ერთი სტუდენი არ ჰყავს და ოთხ პროგრამაზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 58 პედაგოგთან (შ.პ.ს. მილენიუმ აკადემიის სახელით 2016 წელს გაფორმებული 6 წლიანი ხელშეკრულებები). დაწესებულებას აქვს მოწესრიგებული პირადი საქმეები და ამავდროულად ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს დავუსვით კითხვა თუ რამდენად ინფორმირებული არიან აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

პედაგოგები იმ სიახლეების შესახებ რაც იმ პერიოდისათვის დაწესებულებაში განხორციელდა და რამდენად თანახმანი არიან აღნიშნული ცვლილების მიუხედავად კვლავ განაგრძონ იგივე, თუ სხვა შეცვლილი პირობებით მუშაობა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ ჯერ პედაგოგებთან გასაუბრება არ ჰქონიათ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

თანამშრომლებთან გაფომებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები.

შეფასება:

X ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ ვერ წარმოგვიდგინა პერსონალის შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებს აკლია შრომის კოდექსის ისეთი არსებითი პირობები, როგორიც არის სამუშაო ადგილი და შვებულების დრო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
X ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

ქვემოთ მოცემული დანართები წარმოდგენილია პროექტთან ერთად

2დაწესებულებასთან გაფორმებული ოქმი;

3) კატალოგი;

4) მიღება-ჩაბარების აქტი, დანართი #1,2;

5) ხელშეკრულება პედაგოგებთან.

თარიღი: 25.04.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]